საქართველოს ინოვაციების
და ტექნოლოგიების სააგენტო

საქართველოს ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

დოკუმენტი წარმოადგენს განმცხადებლის გზამკვლევს, რომლის საშუალებით საგრანტო პროგრამით დაინტერესებული პირი შეძლებს გაეცნოს საგრანტო პროგრამის პირობებს და საგრანტო განაცხადის წარდგენის წესებს. სახელმძღვანელო დაეხმარება განმცხადებელს შესაბამისი ფორმით წარადგინოს საგრანტო პროექტი.

5000 ლარის ფარგლებში მცირე გრანტების პროგრამა

განმცხადებლის სახელმძღვანელო

სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

2017 წელი

სარჩევი

საგრანტო კონკურსის შესახებ 2
საგრანტო კონკურსის მიზანი 2
საგრანტო კონკურსის პრიორიტეტი 2
საგრანტო კონკურსის წინაპირობა 3
ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება 3
კონსულტაციები 3
გრანტის პირობები 3
ვის შეუძლია განაცხადის შევსება? 4
საგრანტო განაცხადის ფორმის შევსება 4
პროტოტიპის საგრანტო განაცხადის ფორმის შევსება 5
..... 6
სამგზავრო გრანტის განაცხადის ფორმის შევსება 7
ღონისძიებს გრანტის განაცხადის ფორმის შევსება 8
ფინანსური ნაწილის-ბიუჯეტის ფორმის შევსება 9
..... 10
საგრანტო პროექტების შეფასება 11
გამარჯვებულთა გამოვლენა 11
გრანტის თანხის გაცემა 11
პროექტების განხორციელება 12
პროექტის განხორციელების ვადის ცვლილება 12
საგრანტო პროექტის განხორციელების ანგარიში 12

საგრანტო კონკურსის შესახებ

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 5000 ლარის ფარგლებში მცირე გრანტების პროგრამა არის თემატური დაფინანსების მექანიზმი, რომლის მიზანია სტარტაპების შექმნის და განვითარების ხელშეწყობა. სააგენტო ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენს ისეთი იდეის ან მეცნიერებაზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქტის, კვლევის ან მომსახურების განვითარებას და/ან დანერგვას, რომელსაც გააჩნია კომერციული პოტენციალი და ხელს შეუწყობს ტექნოლოგიაზე ორიენტირებული ახალი ტიპის მომსახურების შექმნას. ღია კონკურსის გზით და დადგენილი კრიტერიუმებით შერჩეული განმცხადებლები დაფინანსდებიან სამი მიმართულებით: პროტოტიპირების, ღონისძიებაში მონაწილეობის და ღონისძიების ორგანიზების მიზნით.

საგრანტო კონკურსის მიზანი

პროტოტიპის გრანტი გაიცემა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში პროტოტიპის შექმნის, მისი გამოცდის, დახვეწის ან/და გაუმჯობესების მიზნით, რასაც შედეგად მოჰყვება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ან არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესება და მისი ადგილობრივ ან/და გლობალურ ბაზარზე გატანა.

ღონისძიების გრანტი გაიცემა საქართველოში ჰაკათონის, მეიქათონის, კრეათონის, ჩატარების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს მოკლე დროში ინოვაციური პროდუქტის პროტოტიპის, კრეატიული იდეის ბიზნეს მოდელის თუ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას. ასევე, ფინანსდება პროექტები ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში ნებისმიერი სახის სამუშაო შეხვედრის ორგანიზების მიზნით;

სამგზავრო გრანტი გაიცემა საქართველოს ფარგლებს გარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ინოვაციების ან/და ტექნოლოგიების მიმართულებით.

საგრანტო კონკურსის პრიორიტეტი

გრანტის ფარგლებში დაფარული იქნება ისეთი ძირითადი საქმიანობა, როგორიცაა:

- ინჟინერია და პროდუქტის დიზაინი;
- პროტოტიპის განვითარება და ტესტირება;
- საპილოტე წარმოება და აპლიკაცია;
- ბაზრის ტესტირება;
- ბაზრის კვლევა.

დამატებით დაფინანსდება:

- კვლევის და ტექნოლოგიური განვითარების ექსპერტების/მრჩევლების მომსახურება;
- განვითარების / ბიზნეს კონსულტაცია;
- იურიდიული მხარდაჭერა;

- სხვა ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიაზე დაფუძნებული პროდუქტების, მომსახურებისა და პროცესების განვითარებასა ან/და კომერციალიზაციასთან.

წინადადებას, რომელიც ორიენტირებულია პროექტის მიმდინარეობის დროს შემოსავლებისა და ტექნოლოგიის განვითარებაზე დამატებითი დაფინანსების მოძიებასა და სტარტაპის შექმნაზე, მიენიჭება უპირატესობა.

საგრანტო კონკურსის წინაპირობა

ყველა წარმოდგენილი იდეა უნდა იყოს ინოვაციების ან/და ტექნოლოგიების სფეროში.

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება

დაფინანსების მიღება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს და სხვა (იხ., ,,გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი).

კონსულტაციები

კონსულტაციები საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით მიმდინარეობს ტექნოპარკში (მის.: ინოვაციების ქუჩა N7, ოქროყანა, თბილისი), სამშაბათს და ხუთშაბათს. კონსულტაციის მიღებისთვის საჭიროა სააგენტოში წინასწარ დარეკვა ნომერზე: (+995 32) 2 004482 და შეხვედრაზე ჩაწერა.

გრანტის პირობები

გრანტით დაფინანსდება პროექტები, რომლის ღირებულება არ აღემატება **5000 ლარს**.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთი და იმავე განმცხადებელის ერთი ან რამდენიმე საგრანტო პროექტისათვის გაცემული გრანტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს **5000 ლარს**.

იმ შემთხვევაში თუ განცმხადებელს სააგენტოსგან მიღებული აქვს დაფინანსება, მაშინ მოქმედებს წესი, რომლის მიხედვით საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთი და იმავე განმცხადებელი სხვადასხვა პროექტისათვის საერთო ოდენობით 5000 ლარამდე დაფინანსებას მიიღებს იმ შემთხვევაში თუ კომისიის წინაშე გასაუბრებამდე, წინა დაფინანსებული საგრანტო პროექტი იქნება დასრულებული.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში ფუნდამენტური კვლევის პროექტები, ასევე პროდუქტის წარმოებასთან დაკავშირებული საპროექტო წინადადებები არ დაფინანსდება.

ვის შეუძლია განაცხადის შევსება?

განაცხადი უნდა შეივსოს პროექტის განმახორციელებელი გუნდის ლიდერის, ან განმცხადებელი ორგანიზაციის სახელზე. გუნდის ლიდერი იქნება პასუხისმგებელი პროექტის მართვაზე, თუმცა პროექტის განხორციელებაში შეიძლება აქტიურად იყოს ჩართული პროექტის გუნდის სხვა წევრიც. ორგანიზაციის შემთხვევაში განაცხადი უნდა შეივსოს ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ.

საგრანტო განაცხადის ფორმის შევსება

საგრანტო დაფინანსებაში მონაწილეობის მისაღებად, განმცხადებელმა საგრანტო განაცხადი/პროექტი უნდა წარადგინოს ქართულ ენაზე, ვებ პორტალის - grants.gov.ge საშუალებით.

გთხოვთ, განაცხადის შევსებამდე გაეცნოთ „სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 2018 წლის 17 მაისს N47-ს ბრძანებით დამტკიცებული 5000 ლარამდე გრანტის გაცემის წესს“ და საგრანტო პროგრამის პირობებს, ასევე პორატლის სახელმძღვანელოს, რომელიც განთავსებულია ზემოხსენებულ ვებ პორტალზე

საგრანტო განაცხადის ფორმა უნდა იყოს სამ ლოგიკურ ნაწილად დაყოფილი: 1. რა არის პრობლემა, რის გამოსწორებასაც გეგმავს განმცხადებელი? 2. რისი გაკეთება იგეგმება პროექტის ფარგლებში, რომ გადაიჭრას არსებული პრობლემა? 3. რატომ არის პროექტი ინოვაციური? 4. რა შედეგი დადგება პროექტის განხორციელების შემდეგ და ვინ მიიღებს სარგებელს?

ვებ პორტალზე საგრანტო განაცხადის შევსებისას საკვანძო სიტყვაში (იხ., სურათი N1) უნდა მიეთითოს პროექტის მიმართულება (მაგალითად, ენერგოეფექტურობა, ელექტროდამტენები, მობილური აპლიკაცია, ჭკვიანი რობოტი და ა.შ.)აუცილებლად უნდა დააჭიროთ ღილაკს „დამატება“



სურათი N 1

პროტოტიპის საგრანტო განაცხადის ფორმის შევსება

იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი ორგანიზაციაა, მაშინ შესაბამის ველში უნდა მოხდეს ორგანიზაციის დასახელების მითითება (დაფინანსების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები (იხ., სურათი N1.1).



სურათი N1.1

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სააგენტოს საპროექტო განაცხადის განხილვისთვის ერთი **1 თვიანი** ვადა აქვს, შესაბამისად, პროექტის დაწყების თარიღში გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული დეტალი. ასევე, პროექტის დასრულების ვადის მითითებისას უნდა გაითვალისწინოთ, რომ საგრანტო პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 9 თვე. (იხ.,სურათი N1.2)

საგრანტო პროექტის დაწყების თარიღი[2]	
საგრანტო პროექტის დასრულების თარიღი[3]	

სურათი N1.2

პროექტის მოკლე აღწერა აუცილებლად უნდა შეიცავდეს ყოვლისმომცველ მოკლე ინფორმაციას პროექტის შესახებ. (იხ.,სურათი N2)



სურათი N2

მნიშვნელოვანია, მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი განმცხადებლის მიერ მისი პროექტის უნიკალურობა. მოცემულ გრაფაში უნდა ჩანდეს, თუ რატომ უნდა დააფინანსოს სააგენტომ მისი პროექტი. (იხ., სურათი N3)



სურათი N3

განმცხადებლის მიერ განაცხადის ფორმაზე ხელმოწერა, თარიღი და ზემოთ მოცემული ტექსტი აუცილებლად განთავსებული უნდა იყოს ერთ გვერდზე, არ უნდა გადადიოდეს ხელმოწერა მეორე, ცარიელ გვერდზე. (იხ., სურათი N4).



სურათი N4

სამგზავრო გრანტის განაცხადის ფორმის შევსება

პროექტის მოკლე აღწერა აუცილებლად უნდა შეიცავდეს ყოვლისმომცველ მოკლე ინფორმაციას პროექტის შესახებ. ასევე უნდა იყოს მოკლე ინფორმაცია აპლიკანტის მოტივაციის შესახებ. (იხ., სურათი N5).



სურათი N5

მნიშვნელოვანია, მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი განმცხადებლის მიერ ღონისძიებაში მონაწილეობის შედეგად მიღებული ცოდნის გამოყენების შესახებ ინფორმაცია. (იხ., სურათი N6).



სურათი N6

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ იმ შემთხვევაში თუ სამგზავრო გრანტით ითხოვთ საცხოვრებელი ფართობის დაქირავების (სასტუმროს) ხარჯის ანაზღაურებას პროექტის დაწყების და დასრულების თარიღში (პირველ ფურცელზე (იხ., სურათი N7) მიუთითოთ ის დღეები, რომლებიც გინდათ რომ აგინაზღაურდეთ გრანტის ფარგლებში. **მითითებული თარიღების საფუძველზე დაითვლება თქვენთვის ასანაზღაურებელი თანხა.**

საგრანტო პროექტის დაწყების თარიღი[2]	
საგრანტო პროექტის დასრულების თარიღი[3]	

სურათი N7

ღონისძიებს გრანტის განაცხადის ფორმის შევსება

პროექტის მოკლე აღწერა აუცილებლად უნდა შეიცავდეს ყოვლისმომცველ მოკლე ინფორმაციას პროექტის შესახებ. (იხ. სურათი N8)



სურათი N8

მოცემულ გრაფაში უნდა ჩანდეს პროექტის დასრულების შემდეგ პროექტის განვითარების პერსპექტივა.(იხ., სურათი N9).



სურათი N9

ფინანსური ნაწილის-ბიუჯეტის ფორმის შევსება

1. პროექტის ბიუჯეტი და პროექტის ბიუჯეტის დასაბუთება.

ბიუჯეტის ფორმაში ივსება მხოლოდ შეფერილი უჯრები.

ხარჯვის კატეგორიებში, გთხოვთ, მიუთითოთ შესყიდვის ობიექტები სავარაუდო ფასის მითითებით.

თქვენ მიერ მითითებული შესასყიდი თითოეული საქონლის/მომსახურების გასწვრივ, ლურჯად შეფერილ უჯრებში უნდა დაასაბუთოთ ხარჯის გაწევის აუცილებლობა, პროექტის მიზნებიდან გამოდინარე. (იხ., სურათი N11)

სამგზავრო გრანტის შემთხვევაში, ბიუჯეტის შევსებისას, აუცილებლად დაკონკრეტეთ დღეების რაოდენობა, თუ რამდენი დღით გსურთ საცხოვრებელი ფართის დაქირავებისხ ხარჯის დაფინანსება (იხ. სურათი N12)



სურათი N11



A	B	C	D	E	F	G
	პროექტის ბიუჯეტი სამგზავრო გრანტისთვის					
	გრანტის გამცემი:	**სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო**				
	განმცხადებლის სახელი და გვარი/ორგანიზაციის სახელწოდება:					
	პროექტის სახელწოდება:					
	თანადაფინანსება* (ასეთის არსებობის შემთხვევაში):					
	№	**საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების დასახელება**	**საგრანტო ხელშეკრულებით დამტკიცებული ბიუჯეტი**			
			ერთეულის ღირებულება (უცხოური ვალუტა)		**დღეების რაოდენობა**	**ჯამური ღირებულება (ლარი)**
			თანხა	**ვალუტა**	**კურსი**	
	1	ტრანსპორტით ორმხრივი მგზავრობის ხარჯი				
	2	საერთაშორისო ლონისძიებებში მონაწილეობის სარეგისტრაციო მოსაკრებელი				
	3	საგიზო მოსაკრებელი				
	4	საშოგზაურო დაზღვევა				
	5	საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯი				
			სულ:			**0,00**
	შენიშვნები:					

* **თანადაფინანსება** ველში ასახეთ მხოლოდ ჯამური თანხა თანადაფინანსებისთვის. იმ შემთხვევაში, თუკი პროექტი არ ითვალისწინებს თანადაფინანსებას, აღნიშნული ველი დატოვეთ ცარიელი.
- მეცადეთ მხოლოდ ფერადი უჯრები.
- ბიუჯეტის ხარჯვის კატეგორიებში ასახეთ მხოლოდ საგენტოსგან მოთხოვნილი თანხა თანადაფინანსების თანხის გარეშე. გაითვალისწინეთ, რომ პროექტის მთლიანი ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

სურათი N12

საგრანტო პროექტების შეფასება

საგრანტო პროექტებს ინოვაციების სააგენტოს კვალიფიცური ანალიტიკოსები და მოწვეული ექსპერტები განიხილავენ.

გამარჯვებულთა გამოვლენა

საგრანტო პროექტებს ინოვაციების სააგენტოს კვალიფიციური ანალიტიკოსები და მოწვეული ექსპერტები განიხილავენ. საგრანტო განაცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საპროექტო განაცხადების დაფინანსების შესახებ და შედეგების შესახებ აცნობებს განმცხადებელს.



გრანტის თანხის გაცემა

საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პირი, დაფინანსებული პროექტის განხორციელებისთვის **სპეციალურად გახსნილ ახალ** საბანკო ანგარიშის მეშვეობით, მიიღებს გრანტის თანხას. ანგარიში უნდა იყოს სტანდარტული და არ უნდა ერიცხებოდეს სარგებელი (მაგ., ანაბარი და ა.შ.). გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტის თანხა გამოიყენოს მიზნობრივად, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. **იგი არ არის უფლებამოსილი აღნიშნული ანგარიშით აწარმოოს გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საგრანტო პროექტთან, ან აღნიშნულ ანგარიშზე მიიღოს (ჩარიცხოს) სხვა თანხები.** სააგენტო გრანტის მიმღებს ავანსის სახით ურიცხავს პროექტის ბიუჯეტით დამტკიცებული თანხის 90 პროცენტს. დარჩენილი 10 პროცენტის გადარიცხვა მოხდება გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ფინანსური და პროგრამული ანგარიშების შემოწმების შემდეგ, დადებითი დასკვნის შემთხვევაში.

პროექტების განხორციელება

პროექტების განხორციელების პერიოდია პროექტის დაფინანსებიდან მაქსიმუმ 9 თვე.

პროექტის განხორციელების ვადის ცვლილება

დაფინანსებული საგრანტო პროექტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებში ცვლილებების განხორციელების ან/და საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ მოთხოვნა გრანტის მიმღების მიერ უნდა მოხდეს ცვლილების საჭიროების გამოვლენიდან დაუყოვნებლივ, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე. **დაუშვებელია ცვლილების განხორციელება პროექტის ვადის გასვლის შემდეგ.**

საგრანტო პროექტის განხორციელების ანგარიში

პროექტის დასრულების შემდეგ აუცილებელი პირობა არის ფინანსური და პროგრამული ანგარიშების წარდგენა და ასევე, მოთხოვნილი იქნება პროექტის შესრულების ამსახველი ფოტო ან/და ვიდეო მასალა, პროექტის ფარგლებში შექმნილი მასალების ელექტრონული ვერსიები (ბროშურა, საინფორმაციო ფურცელი, მედია გაშუქება და პროექტის შედეგების შესახებ სტატისტიკური მონაცემები-მაგალითად, მობილური აპლიკაციის პროტოტიპის დამზადების შემთხვევაში აპლიკაციის გადმოწერის რაოდენობა და ა.შ.)

იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო პროექტის ფარგლებში დაგეგმილია პროტოტიპის შექმნა, რომელიც საჭიროებს შესაბამისი საექსპერტო დასკვნას, იმის შესახებ რომ მუშა მდგომარეობაშია, აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი განმცხადებლის მხრიდან დასკვნა პროტოტიპის მუშაობის შესახებ. (მაგ., თუ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ენერგოეფექტურობისთვის კონკრეტული მოწყობილობის პროტოტიპის შექმნა შესაბამისად, საჭირო იქნება წარმოდგენილი იყოს დასკვნა მოწყობილობის ენერგოეფექტურობის მიღწევის შესახებ).